

„ერეკლე მეფე და ინგილო ქალის“ ერთ-ერთი პერსონაჟის
სადაურობის გარკვევის მნიშვნელობისათვის

მოსიაშვილი ალექსანდრე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.06>

აბსტრაქტი. ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს ზოგიერთი გაუგებრობა, რაც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის წესით არ უნდა იყოს რომელიმესთვის სასურველი და მისაღები. 1989 წელს ქვემო ქართლის რეგიონში სრულიად ხელოვნურად კონფლიქტის გაღვივების მცდელობა ვფიქრობ, არ უნდა იქნას მივიწყებული. რადგან სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე კარგად, რომ ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას ერთმანეთში არაფერი აქვს გასაყოფი. რომ გარედან იყო თავსმოხვეული ტრაგიკული მოვლენები და უცხო ძალების ინტერესებს ემსახურებოდა მხოლოდ. მას შემდეგ ათეულობით წელი გავიდა. მაგრამ სამწუხაროდ, არის გარკვეული ნეგატიური საკითხები, რომელიც თავს იჩენს ხოლმე პერიოდულად და ყოველთვის სათანადო ყურადღების მიქცევას საჭიროებს, რათა კვლავ არ მოხდეს გარე ძალების ინტერესებთან თანხვედრაში გადაზრდა. ჩვენი მიზანია, სათანადო ბიბლიოგრაფიის გაცნობის შემდეგ, არსებულ წყაროთმცოდნეობით თუ ისტორიოგრაფიულ მასალებზე დაკვირვებით და გარკვეული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ მოცემული საკითხის სისწორე, რათა არ მოხდეს ისტორიის დამახინჯება და მხავრულად გაფორმებულმა ნაწარმოებებმა ხელი არ შეუწყოს მცდარი ნარატივების გავრცელებას ფართო საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილი, ინგილო, საინგილო, ერეკლე II, აზერბაიჯანი.

მონოგრაფიის - „ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია“, ავტორები წერენ: „ამიტომ დღეს გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ დედას მოწყვეტილი ჰერეთის ბარის ქართველი (ვიდრე ინგილო დაერქმეოდა)¹ დედას არ მოწყვეტილ დაღისტანელებთან საუკუნოვანი (1616-1717 წწ.) ომის შემდეგ, დამარცხდა, გატყდა და გამაჰმადიანების გზას დაადგა, ხოლო XX საუკუნეშიც, ისევ დედას მოწყვეტისა და უპატრონობის გამო, ინგილოდ წოდებული ქართველების ნაწილის ენობრივად გაათათრებაც მოხდა.“**ზურჯავეი, ისაევი, ალიბეგოვი, 2013.** – იქვე მოცემულ სქოლიოში კი განმარტავენ შემდეგს: „ბაქოელ ისტორიკოსთა მტკიცებით, ტერმინი „აზერბაიჯანი“ და „აზერბაიჯანელი“ ისევე ძველთაძველია, როგორც ტერმინი „ინგილო“, ოღონდ ეს ინგილოები, მათი მტკიცებით, ქართული წარმოშობის არ არიან, ესენი უბრალოდ, ისტორიულად, ინგილოები არიან, რომელიდაც ძველ თურქულ, სპარსულ თუ მონღოლური გელის ტომიდან, ბოლო „ადმოჩენებით“ კი ალბანური ტომი, რომელთაც ქართველ მეფეებმა XII-XIII საუკუნეებში ქართული ენა შეასწავლეს; არის სხვა მრავალი სიცილის მომგვრელი მტკიცებებიც. მათ აქეთ-იქეთ მიხედ-მოხედვის გარეშე, ძალიან უყვართ თავიანთი „ისტორიის“ დაძველება.

მაგრამ ტერმინ „აზერბაიჯანელებზე“ რა მოგახსენოთ, ინგილოებზე კი ვიტყვით იმას, რომ იგი შეიქმნა XIX საუკუნის 20-40 წლებში. ეს ტერმინი ახლად მორჯულებულს, ახლად გამუსლიმებულსა და ახლად გაქრისტიანებულს კი არ ნიშნავს, არამედ ტერმინი „ინგილო“ ნიშნავს ახალ ან ახლად მოსულს (იენი გელენს). ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში შამქორ კახახის თათართა დისტანციებიდან ჭარ-ბელეჩნის ლეკური თემების საჯაამათოების და ელისოს სულთნის ინიციატივით, საინგილოში, თავისუფალ მიწებზე, ყმობის პირობით, გადმოსახლეს თათარ-მულალები; ამავე პერიოდში, პარალელურად მიმდინარეობდა საინგილოს მსხვილ ქართულ დასახლებებიდან (ალიაბადიდან, მოსულიდან, ვერხვიანიდან, ზეგამ-თასმალოდან და კახიდან) გამოსული ოჯახების მიერ ახალი სოფლების დაარსება, როგორცაა მაგალითად სოსიკაანთ კარი, ალიბეგლო, ყოროლანი, ლალალო, მარსანი, ახალი შოთავარი და სხვა. ამრიგად, „იენი გელენი“, „იენგილო“, „იენგილავი“ და ბოლოს „ინგილო“ ტერმინი რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებამ მხოლოდ აქაურ ქართველებზე გაავრცელა, რადგან გადმოსახლებულ მულალოთა დიდი ნაწილი რუსებმა აიძულეს და უკან დააბრუნეს, საიდანაც იყვნენ წამოსულები, გადმოსახლებულები...“**ზურჯაევი, ისაევი, ალიბეგოვი, 2013.** მოცემული განმარტებიდან ყურადღება მივაქციოთ ერთ პატარა წინადადებას: „... ტერმინ „აზერბაიჯანელებზე“ რა მოგახსენოთ, ინგილოებზე კი ვიტყვით იმას, რომ იგი შეიქმნა XIX საუკუნის 20-40 წლებში.“ – ფართე საზოგადოებისთვის, როგორც ცნობილია გამომცემლობა „განათლება“-მ 1986 წელს გამოსცა იაკობ გოგებაშვილის „საგანძური“ (მეორე გამოცემა). წიგნი მიძღვნილია იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი და მასში საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულთან ერთად შესულია ისტორიული შინაარსის საბავშვო თხზულებანიც. ისტორიული ჟანრის თხზულებათა შორის ყურადღებას იქცევს ერთ-ერთის სათაური – „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. ყურადღებას იქცევს იმდენად, რამდენადაც ერეკლე მეფე, ანუ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე (თხზულება ვისზედაც არის მიძღვნილი), როგორც ცნობილია გარდაიცვალა 1798 წელს. შესაბამისად, ჩვენ როცა ვკითხულობთ ზემოთ მოტანილ ფრაზას: „... ტერმინ „აზერბაიჯანელებზე“ რა მოგახსენოთ, ინგილოებზე კი ვიტყვით იმას, რომ იგი შეიქმნა XIX საუკუნის 20-40 წლებში.“ – თავისთავად გვიჩნდება კითხვა, საიდან გაჩნდნენ იმ დროს ინგილოები?! იაკობ გოგებაშვილის მიერ შემოთავაზებულ ტექსტს, როდესაც თვალს მივადევნებთ – რამდენიმე ადგილზე გვხვდება ტერმინები „ინგილო“ და „საინგილო“. ერთი რამ აქვე შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების ავტორი არც ისტორიკოსია, არც მეცნიერი და არც მკვლევარი. ის როდესაც მხატვრულად აღწერს – სრული უფლება აქვს წეროს ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად, რადგანაც წერს მხატვრულ ნაწარმოებს და არა სამეცნიერო ნაშრომს... მაგრამ აქ ჩვენ თუ ჩავუთვლით მას ავტორისეულ მხატვრულ ვერსიაში, მაშინ რა ვუყოთ სქოლიოში დაფიქსირებულ განმარტებას?! ე. ი. ტექსტში ვკითხულობთ: „... უცებ მეფეს თავზე ვიდაცამ გადმოაყარა ზემოდან მთელი ბლუჯა ქლიავი. გაცეხულმა მეფემ თავისი ბედაური შეაყენა. გაჩერდა ჯარიცა. მიიხედ-მოიხედეს და იქვე ვენახის ღობესთან დაინახეს ვეებერთელა ქლიავის ხეზე თორმეტიოდე წლის ინგილო გოგონა, რომელსაც ქლიავი ესროლა მეფისთვის².“**გოგებაშვილი, 1982.** იმავე გვერდზე სქოლიოში კი წერია: „² ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენს (ავტ. შენიშვნა).“**გოგებაშვილი, 1982.** ამდენად, ავტორი როგორც ვხედავთ შეძლებისდაგვარად თვითონვე გვეხმარება საკითხის დაზუსტებაში. ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შემატოს მოცემულ ეპიზოდს. ის გადმოცემულ ამბავს „ხალხის თქმულებას“ უწოდებს. აქედან, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ვარაუდის გამოთქმა, კერძოდ: თქმულება იაკობ გოგებაშვილის დაბადებამდე გაცილებით ადრე უნდა იყოს შექმნილი. ამ ვერსიის გამოთქმის საფუძველს იძლევა ავტორის მიერ ზემოთ წარმოდგენილ სქოლიოში გაკეთებული განმარტება; მისსავე ეპოქაში, რომ ყოფილიყო თქმულება შექმნილი ი. გოგებაშვილს ალბათ არ გაუჭირდებოდა მისი შემქმნელის ვინაობის დადგენა (თვითონ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ცნობილია, 1840 წელს იყო დაბადებული). ზუსტად როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, ან საერთოდ თუ მოხდა და გამოგონილი არ არის?! შევეცადოთ მის გარკვევას. ამის პასუხად პირველ რიგში ტექსტი მოვიშველიოთ: „ერეკლე მეფეს ომი ჰქონდა ჭარის ლეკებთან და ძლიერ დაამარცხა. გამარჯვების შემდეგ თავისი ჯარით უკან გამობრუნდა მეფე, ორმოცდაათი წლის ვაჟკაცი,

მშვენიერს ბედაურზე იჯდა და წინ მოუძლოდა ჯარსა...“**გოგებაშვილი, 1982.** ამ მოცემულობით 1770 წელი უნდა ვივარაუდოთ, რადგან ერეკლე მეორე დაბადებული იყო 1720 წელს და ორმოცდაათი წლის ასაკში თუ იქნებოდა 1720 დაემატება 50 და 1770 წელს მივიღებთ. ერთი დასკვნა აქ შეიძლება გაკეთდეს, რომ ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ერეკლე მეორეს უწევდა გახშირებული ლეკთა თარეშის აღკვეთა და არ არის გამორიცხული ეს ამბავი მართლაც შეიცავდეს რეალურად მომხდარ ინციდენტს და უკავშირდებოდეს იმჟამად მომხდარი რომელიმე დასრულებული ბრძოლის ისტორიის ფრაგმენტს.

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ფრაზას: „... ტერმინ „აზერბაიჯანელებზე“ რა მოგახსენოთ, ინგილოებზე კი ვიტყვით იმას, რომ იგი შეიქმნა XIX საუკუნის 20-40 წლებში.“ – თუ ჩავთვლით, რომ ნამდვილად ამ პერიოდს უკავშირდება „ინგილო“-ს დამკვიდრება, თავისთავად ჩნდება კითხვა: რა ინტერესი ამოძრავებდა ი. გოგებაშვილს როდესაც ამავე ტერმინებს იყენებდა თავის თხზულებებში? ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

ახლა იმავე გამოცემაში დაბეჭდილ კიდევ ერთ ისტორიულ ამბავს მივაქციოთ ყურადღება. თხზულება მცირე მოცულობისაა და მისი სათაურია „გლეხი ბოსტაშვილი“. პირველივე აბზაცში იკითხება შემდეგი: „მეფე ერეკლეს დიდხანს ჰქონდა ომი სპარსელებსა და ოსმალებთან. ამით ისარგებლეს ჭარელმა ლეკებმა, რომელნიც საინგილოს ახლოს ცხოვრობდნენ და, რბევა დაუწყეს ინგილოებს. ბედად, ერეკლემ მალე ბრწყინვალედ გაიმარჯვა სპარსელებზედაც და ოსმალებზედაც და მაშინ მოიწადინა ჭარელების ჭკუაზე მოყვანა და ალაგმვა. შეკრიბა ჯარი, მიადგა ჭარსა და იწყო ბრძოლა...“**გოგებაშვილი, 1982.** ავტორი თხზულებაში წარმოდგენილ ბრძოლის ეპიზოდს „ხალხის თქმულებას“ არ უწოდებს, მაგრამ სავარაუდოა, რომ მასში გადმოცემული ამბავი რეალურად მოხდა. ამის დასამტკიცებლად საკმარისი იქნებოდა აქ წარმოგვედგინა სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სიგელი, რომელიც ადასტურებს ტექსტის ბოლო აბზაცში გადმოცემული ფაქტის უტყუარობას: „ამ გლეხის ჩამომავალნი არიან ახლანდელი აზნაური ბოსტაშვილები, რომელთაც მადლიერმა ერეკლემ აზნაურობა უბოძა.“**გოგებაშვილი, 1982.** თუმცა, აქაც სხვა რამ არის ჩვენთვის საინტერესო და საგულისხმო, კერძოდ: „... ამით ისარგებლეს ჭარელმა ლეკებმა, რომელნიც საინგილოს ახლოს ცხოვრობდნენ და, რბევა დაუწყეს ინგილოებს...“ – როგორც ვხედავთ, აქაც ი. გოგებაშვილი ახსენებს ტერმინ „ინგილო“-ებს. აქაც ეჭვგარეშეა, რომ ტექსტში ნახსენები მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეა. საინტერესოა, თვითონ ავტორმა მოიფიქრა და ჩაამატა – „ინგილოებს“, თუ გადმოცემა ან რომელიმე საისტორიო წყარო იხსენიებს მათ საქართველოს ისტორიის ხსენებულ ეპიზოდში (ანუ ერეკლე მეორის მეფობის ხანაში)?! ჩვენ შეგვეძლო გაგვეკეთებინა შემდეგი სახის დასკვნა: სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ერეკლე მეორის ეპოქაში ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ლეკთა გამუდმებულმა შემოსევებმა და თარეშმა, რაც ხშირად ადამიანების გატაცებით მთავრდებოდა ხოლმე, ნელ-ნელა წარმოშვა იძულებით გამუსლიმებული ე. წ. ინგილოები. ლეკები კი არ ცხრებოდნენ, ისინი ოსმალეთის გაქეზებით, თუ მათთან ალიანსით მოქმედებდნენ ქართული სამეფო-სამთავროების ინტერესების საზიანოდ და ასე ნელ-ნელა, თანდათანობით მრავლდებოდა ინგილო ქართველთა რიცხვი, რამაც მისცა საფუძველი ტერმინ „საინგილო“-ს წარმოშობა-დამკვიდრებას... მაგრამ, საკითხით დაინტერესებამ და შესაბამისი მასალების მოძიებამ ცხადყო შემდეგი კერძოდ, ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით 1941 წელს თამარ ლომოურს გამოცემული აქვს მონოგრაფია სახელწოდებით:

„დავით ბატონიშვილი

ახალი ისტორია

ბაგრატ ბატონიშვილი

ახალი მოთხრობა“ – მის ფურცლებზე (აქ იგულისხმება „ახალი ისტორიის“ ნაწილი – ა. მ.) იკითხება შემდეგი: „ხოლო წელსა 1749 ქ“კს: ულზ: | შეერთდენ მეფენი აჯი– ჩალაბისა, შაქის ხანის თანა, სადაცა შემოიკრიბეს მხედრობანი და წარვიდნენ ჭარსა ზედა, და რაოდენ ევედრენ ჭარელნი მონებასა, არა უსმინა მეფეთა?. და მივიდნენ რა ქარსა ზედან, (ამავე დროს სქოლიოში იკითხება შემდეგი: „1. ამ სიტყვის წინ წაშლილია „ხალათი“, 2. ტექსტში სწერია „მეფემან“, შემდეგ „მან“ წაუშლიათ და ზემოდან ტექსტისავე ხელით დაუწერიათ „თა“ – ა. მ.)

მაშინ აჯი-ჩალაბიცა შეერთდა ჭარელთა და განტეხა ალთქმა თვისი. იძლივნენ მუნ ფრიად მეფენი, გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით. ხოლო ალაზნანსა შინა, ვინაითგან გაუგჭირდა მეფესა ერეკლეს გამოსვლა, რომელ ქვევითნი იგი ქართველთანი 1, რომელიცა მოაქვნდა წყალსა, ეხვეოდნენ. ცხენტა განრინებისათვის, მაშინ თავადმან ბებურიშვილმან პაპამ მოს-წყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით. ხოლო ვინაითგან ნაპირი მდინარისა | ალაზნისა არს ფლატიანი?, ამად პაპამან მუნ ვერღარა აღიყვანა ცხენი მეფისა და ვირე მოატარებდა შორს, ვირე ქვევითსა მყოფსა მეფესა შემთხვივა ბოსტაშვილი მაჩხაანელი და მიართვა ცხენი, და ესრეთ განერა მეფე. **„ზატონიშვილი, 1941.** ანუ აქაც, როგორც ვხედავთ, ნამდვილად ისტორიული ფაქტია ნახსენები. თუმცა, „საინგილო“ ნახსენები არ არის.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლოვარდ ტუხაშვილი წერს: „იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოში შეიტანა მოთხრობა „ერეკლე II და ინგილო ქალი“. აქ აღწერილი შემთხვევა ქიზიყში, სოფელ ვაქირში მოხდა. დიდმა პედაგოგმა ქიზიყელი ქალი ინგილოთი შეცვალა. რატომ? საინგილო საქართველოს ღვიძლი შვილია, ქართველს ბავშვობიდანვე უნდა ჩაენერგოს მისი სიყვარული. ინგილო ქალის პატრიოტიზმი, სიყვარული ქართული ქუდისადმი (ალბათ გახსოვთ, მოთხრობაში ინგილო ქალმა ერეკლე II-ს ქლიავი გადააყარა ირანული ქუდის ტარების გამო), აღძრავს მეტად სასიამოვნო ასოციაციას, თვითონ ინგილოებს გვაყვარებს“. <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2963>

მეორე მოთხრობასთან დაკავშირებით ლ. ტუხაშვილი ადასტურებს მომხდარ ფაქტს და მას ათარიღებს 1751 წლის 11 თებერვლით (აქ თარიღს უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება – მთავარი მომხდარის ნამდვილობის დადასტურებაა.). ჩვენ, რომ აღარ გავაგრძელოთ ძიება ორივე მოთხრობაში ასახული ფაქტების და მოვლენების ნამდვილობის დადგენასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ერთგვარი დასკვნის სახით ვთქვათ შემდეგი – ორივე ამბავი, როგორც ჩანს ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს. აი, რაც შეეხება მის მხატვრობას კი, როგორც აღინიშნა იაკობ გოგებაშვილთან აქ ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს.

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ფრაზებს: „ბაქოელ ისტორიკოსთა მტკიცებით, ტერმინი „აზერბაიჯანი“ და „აზერბაიჯანელი“ ისევე ძველთაძველია, როგორც ტერმინი „ინგილო“, ოღონდ ეს ინგილოები, მათი მტკიცებით, ქართული წარმოშობის არ არიან, ესენი უბრალოდ, ისტორიულად, ინგილოები არიან, რომელიდაც ძველ თურქულ, სპარსულ თუ მონღოლური გელის ტომიდან, ბოლო „აღმოჩენებით“ კი ალბანური ტომი, რომელთაც ქართველ მეფეებმა XII-XIII საუკუნეებში ქართული ენა შეასწავლესო;“ იქნებ „ბაქოელი ისტორიკოსები“ ჭეშმარიტებას ღაღადებენ?! მაგრამ, რა მტკიცებულებებით? მოკლედ, როგორც ცნობილია, ამიერ თუ იმიერკავკასია გამორჩეულია სხვადასხვა ეთნოსთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. მათი უმრავლესობის ისტორიული ფესვები ამ გამორჩეული რეგიონის წარსულში უნდა ვეძებოთ. ხოლო, რაც შეეხება ეთნონიმ „აზერბაიჯანელი“-ს დამკვიდრებას, ისინი (აზერბაიჯანელები, როგორც ეთნოსი) ხსენებულ რეგიონში მაინცდამაინც ხანდაზმულად ვერ გამოიყურებიან.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ დაიპყრო ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორია და დაიმორჩილა აქ ჩასახლებული თურქულენოვანი მოსახლეობისგან შემდგარი სახანოები. არსებობდა ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რამდენიმე სახანო (მაგ. თავრიზის, არდებილის და სხვა.) და ყაზახის, შამშადილის, ელისუს სასულთნოები. **მოსიაშვილი, 2020.** მათ შორის, ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე დაღესტნელთა მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა. იგივეს თქმა შეიძლება ელისუს სასულთნოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჭარ-ბელაქანის მოსახლეობაზეც. დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთ-ირანის 1828 წლის თურქმენჩაის საზავო მოლაპარაკების შემდეგ შევიდნენ. იმ პერიოდში თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი თათრების (როგორც მათ იმჟამად უწოდებდნენ) რაოდენობა დაახლოებით 600 ათას კაცს შეადგენდა. ეთნონიმ აზერბაიჯანელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ არ უარსებია. აქ მცხოვრებ თურქულენოვან ტომებს არც საერთო ეთნიკური თვითშეგნება გააჩნდა და არც სახელმწიფო შეუქმნიათ როდისმე. XIX საუკუნის ლიტერატურაში აზერბაიჯანელები

„თათრებად“ იხსენიებოდნენ. როგორც ცნობილი მეცნიერი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავდა: „ქართველისათვის ყველა მაჰმადიანი „თათარი“ იყო“. ასევე, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ საისტორიო საზოგადოების სხდომაზე 1917 წელს წაკითხულ მოხსენებაში, პოლიტიკურ ლიტერატურაში პირველად ახსენა „ადერბეჯანი“ და სწორედ მან დაარქვა ამ გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს „აზერბაიჯანელები“. მან ფაქტობრივად აღადგინა ამ ტერიტორიული არეალის ოდინდელი ისტორიული სახელწოდება „ადარბადაგანი“. მოგვიანებით ეს ტერმინი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. **სონდულაშვილი, 2018.**

ამდენად, როდესაც „ბაქოელი ისტორიკოსები“ თავიანთ მეცნიერულ დასკვნებს აქვეყნებენ, აჯობებს წერის დაწყებამდე არც თუ ისე შორეულ წარსულს გადაავლონ თვალი. კარგად გაიხსენონ თავიანთი წინაპრების დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოსახლების პერიოდი და თავისებურებები. ინგილოებს და საინგილოს კი ნამდვილად არაფერი აქვს გამოსარკვევი თავის ჭეშმარიტ ქართულ ფესვებთან დაკავშირებით. აქვე დავძინოთ ერთიც, რომ საქართველო და ქართველები არ ვცდილობთ ვინმეს – რომელიმე სახელმწიფოს თუ ეთნოსის კუთვნილების მითვისებას. ვცდილობთ შევინარჩუნოთ სტაბილურობა და ვაწარმოოთ კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩვენ რეგიონში, მათ შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკასთანაც. თანამედროვე ეპოქის აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა ზემოთ წარმოდგენილი „საბუთები“ კი ნამდვილად არ მიგვაჩნია გამართლებულად. მით უმეტეს, რომ მრავალი ეთნიკურად აზერბაიჯანელი (საქართველოს მოქალაქე) მშვიდობიანად ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რეგიონში და მსგავსი საკითხებით, თუნდაც მომავალში, ურთიერთობის დამაბვის გამოწვევა სავარაუდოდ არც მათთვის იქნება მისაღები.

აქვე დავუბრუნდეთ იაკობ გოგებაშვილის მიერ ნახსენებ „ინგილო“-ებს. როგორც ლ. ტუხაშვილი გვთავაზობს თავის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ი. გოგებაშვილმა ქიზიყელი თავის სურვილისამებრ ჩაანაცვლა ინგილოთი და აქვე დავამატოთ მეორე მოთხრობის ეპიზოდიც, სადაც ასევეა საინგილოა ნახსენები – ვფიქრობ, შესაძლებელია რომ მართლაც, ჭეშმარიტი მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის მიერ ინგილოების და საინგილოს შეყვარებას ისახავდეს მიზნად ყმაწვილთათვის. ისევე, როგორც აკაკი წერეთელმა ნაწარმოებში (ასევე, ისტორიული მოთხრობა) „ბაში-აჩუკ“-ში თავის სურვილისამებრ, კახეთის აჯანყებაში ჩართო იმერელი „ბაში-აჩუკი“ და ამით ქართველთა ერთიანობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ერთი სიტყვით, მწერლებს და პოეტებს არავინ უკრძალავს თუნდაც ისტორიული ფაქტების მხატვრულად ასახვას თავიანთ შემოქმედებაში. ჩვენი მიზანი კი არის ის, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და საჭირო განმარტებებით არ მივცეთ საშუალება ზოგიერთ უცხოელ მკვლევარს ისტორიის დამახინჯების.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი, დ. (1941). ახალი ისტორია. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
2. ბურჯაყვი, თ. ისაყვი, ს. ალიბეგოვი, ბ. (2013). ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია. თბილისი;
3. გოგებაშვილი, ი. (1982). საგანძური. თბილისი: „განათლება“;
4. მოსიაშვილი, ა. (2020). ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ასპექტები თანამედროვე ეპოქაში. თბილისი: „წიგნი+ერი“;
5. სონდულაშვილი, ა. (2018). საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. თბილისი: „უნივერსალი“;
6. <https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2963>

**On the Significance of Determining the Origin of One of the Characters in
„King Erekle and the Ingilo Woman”**

Mosiashvili Aleksandre
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The authors of the monograph „*The Tragedy of the Georgians Known as Ingilos*” write: “According to Baku-based historians, the terms ‘Azerbaijan’ and ‘Azerbaijani’ are just as ancient as the term ‘Ingilo’; however, these Ingilos, they claim, are not of Georgian origin. Rather, historically, they are simply Ingilos—members of some ancient Turkic, Persian, or Mongolian nomadic tribe, and according to the latest ‘discoveries,’ even an Albanian tribe to whom Georgian kings allegedly taught the Georgian language in the 12th–13th centuries. There are many other claims of a similarly laughable nature. Without much consideration, they are particularly fond of antiquating their own ‘history.’” As for the term ‘Azerbaijanis,’ we shall not elaborate here, but regarding the Ingilos, it must be stated that this term emerged in the 1820s–1840s of the 19th century. It does not denote newly subdued, newly Islamized, or newly Christianized people; rather, the term ‘Ingilo’ means ‘new’ or ‘newly arrived’ (*yeni gelen*). In the historical short stories of Iakob Gogebashvili, we encounter the terms ‘Ingilo’ and ‘Saingilo,’ which the author associates with the period of King Erekle II of Kartli-Kakheti. For the reader to properly understand the essence of the matter, certain clarifications are necessary. Specifically, the author of the literary work is neither a historian nor a scholar nor a researcher. When he offers a literary depiction, he has every right to write as he sees fit, since he is producing a work of fiction rather than a scholarly study. The well-known historian Lovard Tukhashvili provides a fully acceptable explanation of this issue: “Iakob Gogebashvili included the story ‘Erekle II and the Ingilo Woman’ in a textbook. The event described there took place in Kiziki, in the village of Vakiri. The great educator replaced a Kiziki woman with an Ingilo woman. Why? Saingilo is an integral child of Georgia, and love for it must be instilled in a Georgian from childhood. The patriotism of the Ingilo woman, her love for the Georgian hat (as you may recall, in the story the Ingilo woman throws plums at Erekle II for wearing an Iranian hat), evokes very pleasant associations and makes us love the Ingilos themselves.”

In short, writers and poets are not prohibited from artistically portraying even historical facts in their works. Our goal, however, is to call things by their proper names and, through necessary explanations, prevent certain foreign researchers from distorting history.

Keywords: *Iakob Gogebashvili, Ingilo, Saingilo, Erekle II, Azerbaijan.*